



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 100

2025 წლის 8 აგვისტო
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს
(ს/კ 418471059) 2024 წლის აგვისტოდან განვლილ პერიოდის ანგარიშის შეფასების
შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2024 წლის აგვისტოდან განვლილ პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2024 წლის აგვისტოდან განვლილ პერიოდის ანგარიში (დანართითან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და

ხელშეწყობის სააგენტოს მუშაობის ანგარიში განყოფილებების მიხედვით 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის ივლისამდე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო წლების განმავლობაში მთელი დატვირთვით მუშაობს მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტული განვითარებისათვის, პერსპექტიული სპორტსმენების დაფინანსებასა და სათანადო პირობების შექმნისათვის, რაც ყოველწლიურ შედეგებშიც იკვეთება. სააგენტოში არსებული განყოფილებები შესაბამისი ფუნქციებით ასრულებენ ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად მუშაობას. წარმოგიდგენთ განყოფილებების მიხედვით შესრულებული სამუშაოების ანგარიშს:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ 2024 წლის 1 აგვისტოდან დღეის მდგომარეობით გაწეული მომსახურების და შესრულებული სამუშაოების შესახებ.

განყოფილების მძღოლები საჭიროებიდან გამომდინარე, მომსახურებას უწევდნენ სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული სკოლების სპორტსმენების ტრანსპორტირებას სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, რომელიც გათვალისწინებულია და დამტკიცებულია მერიის მიერ სპორტული ღონისძიებების კალენდარში, ასევე ახდენდნენ სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპორტსმენების, მწვრთნელების და მსაჯების ტრანსპორტირებას. ასევე მომსახურება გაუწიეს გორში ჩატარებულ ევროპის თასის ტურნირს მიუდოში, გორის საფეხბურთო კლუბ „გორი“-ს, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს, რაგბის გუნდს „გორი“.

მ/წლის მარტის თვეში გორის მუნიციპალიტეტის მერიისაგან გადმოგვეცა ორი ახალი ავტობუსი GOLDEN DRAGON-ი სპორტსმენთა მომსახურებისათვის სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, შესაბამისად გაიზარდა საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი.

2024 წელს ა.შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულ სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და წლის ბოლოსათვის გაიზარდა ბუნებრივი აირის და წყალმომარაგების სიმძლავრეები. ასევე 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში განხორციელდა საჩოგბურთო კორტებზე ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთების და სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები, დამატებით გაიზარდა წყალმომარაგების სიმძლავრე.

განყოფილების მთავარი სპეციალისტი ახორციელებდა სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული სპორტული სკოლებსა და დარბაზებში ჰიგიენური მდგომარეობის, ცენტრალური გათბობების სისტემების, სანტექნიკური და განათების სისტემების გამართულად მუშაობის მონიტორინგს და შესაბამის მუშაკებზე ზედამხედველობას.

ელექტრიკოსი ახორციელებდა სკოლებსა და დარბაზებში არსებული ელექტრო გაყვანილობების და სანათი საშუალებების გამოვლენილი დაზიანებების აღმოფხვრა - განახლებას.

ტრანსპორტის მიმართულებით მომუშავეს განყოფილების უფროსის თანაშემწე და ორი სპეციალისტი(ტრანსპორტის მიმართულებით) ახორციელებდნენ სააგენტოზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებზე საგზურის ფურცლების, საწვავის ხარჯვის რეესტრების და ჩამოწერის

აქტების, ასევე შესაცვლელ - შესაკეთებელი სათადარიგო ნაწილების დეფექტური და ჩამოწერის აქტების წარმოებას.

განყოფილების უფროსი სპეციალისტი (კომუნალური ხარჯების აღმრიცხველი და მაკონტროლებელი) წლის განმავლობაში აწარმოებდა კომუნალური ხარჯების აღრიცხვას და შესაბამისად მრიცხველების კონტროლს.

საწყობის ზედამხედველი ახორციელებდა სააგენტოს საწყობში მიღებული მატერიალურ ფასეულობათა და შესაბამისად სააგენტოს განყოფილებებზე და სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლებზე მიღება-ჩაბარების აქტებით მათი გადაცემების აღრიცხვას.

განყოფილების IT სპეციალისტი სისტემატიურად უზრუნველყოფდა სააგენტოს და სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ სკოლებში კომპიუტერული ტექნიკის და ინტერნეტის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფას.

სანტექნიკოსი უზრუნველყოფდა სააგენტოს და სკოლებსა და დარბაზებში სველი წერტილების სისტემების გამართულად მუშაობას.

განყოფილების დანარჩენი სპეციალისტები წლის განმავლობაში იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ახორციელებდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

დამლაგებელი უზრუნველყოფდა სააგენტოს განყოფილებების ოთახების და სველი წერტილების დეზინფექცირება - სისუფთავეს.

მომავალ პერიოდში დაგეგმილია სასტუმროს რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე(მინების ამოცვლა) განყოფილების შესაბამისმა თანამშრომლებმა გაუწიონ მონიტორინგი შესასრულებელი სამუშაების ხარისხიანად ჩატარებას.

**საფინანსო განყოფილების მუშაობის
ანგარიში**

ა(ა)იპ სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 3125400ლარს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

დასახელება	2024 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	355738
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1853846,84
მივლინება	59738
ოფისის ხარჯი	214398,28
წარმომადგენლობითი ხარჯი	67500
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	3200
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	95086,84
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	143726
სოციალური უზრუნველყოფა	6937
სხვა ხარჯი (მ.შ. გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	316249
არაფინანსური აქტივები	8980

სააგენტოს 2024 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით ხარჯები შეადგენდა 1344639 ლარს, მუხლობრივად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	შესრულება
შრომის ანაზღაურება	151845
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	832962

მივლინება	18406,5
ოფისის ხარჯი	56982,6
წარმომადგენლობითი ხარჯი	38192,2
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	0
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	46204,5
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	65858,9
სოციალური უზრუნველყოფა	0
სხვა ხარჯი (მ.შ. გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	132237
არაფინანსური აქტივები	1950

ა(ა)იპ სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 3444400ლარს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

დასახელება	2025 წლის გეგმა
შრომის ანაზღაურება	362268
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1912376
მივლინება	78000
ოფისის ხარჯი	352268
წარმომადგენლობითი ხარჯი	70000
სამედიცინო ხარჯები	3000
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	20000

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	101000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	174084
სოციალური უზრუნველყოფა	5000
სხვა ხარჯი (მ.შ. გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	236404
არაფინანსური აქტივები	130000

სააგენტოს 2025 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ხარჯები შეადგენს 1670667ლარს,
მუხლობრივად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	შესრულება
შრომის ანაზღაურება	181384
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1074342
მივლინება	34044
ოფისის ხარჯი	169204,9
წარმომადგენლობითი ხარჯი	24040,4
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	1292
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	32419,69
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	37321,6
სოციალური უზრუნველყოფა	0

სხვა ხარჯი (მ.შ. გავლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)	106728
არაფინანსური აქტივები	9890

**სააგენტოს სასწავლო პროცესის ზედამხედველობის
განყოფილების მუშაობის
ანგარიში**

2024 წლისათვის (აგვისტო-დეკემბერი) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შემადგენლობაში შედის: შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, გორის რაიონში არსებული სხვადასხვა სპორტული სექციებით, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა, ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა, ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლა, ძიუდოს კლუბი „Golden Gori“ და თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club“. სავარჯიშო-საწვრთნელი საქმიანობა მიმდინარეობს სპორტის შემდეგ სახეობებში:

1. კალათბურთი;
2. ხელბურთი;
3. ფრენბურთი;
4. ტანვარჯიში;
5. ჩოგბურთი;
6. ძალოსნობა;
7. მძლეოსნობა;
8. რაგბი;
9. კარატე-დო;
10. ტაეკვანდო;
11. კიკ-ბოქსინგი;
12. კრივი;
13. ქართული საბრძოლო ხელოვნება;
14. მეკლდეურობა;
15. თავისუფალი ჭიდაობა;
16. ქართული ჭიდაობა;
17. ძიუდო;
18. ჭადრაკი;
19. მკლავჭიდი;
20. სამბო;
21. მაგიდის ჩოგბურთი.

რაიონში არსებული სექციები:

სოფელი	სექცია
ქვახვრელი	ძიუდო
ზერტი	ძიუდო, ძალოსნობა
ფლავისმანი	ძიუდო
მერეთი	ძიუდო
ატენი	ძიუდო
სკრა	ძიუდო
ნიქოზი	მეკლდეურობა
ხურვალეთი	კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი
მელვრეკისი	ძალოსნობა
ზედდულეთი	ძიუდო
ვარიანი	კრივი

2024 წლის აგვისტო-დეკემბრის თვეების მდგომარეობით, დამუშავებულ იქნა სპორტსმენთა სტატისტიკა, სქესისა და ასაკის მიხედვით .

სკოლების მიერ წარმოდგენილი ელექტონული ცხრილების მიხედვით ინფორმაცია სპორტულ სკოლებში რიცხული ბავშვების (სპორტსმენების) შესახებ ასეთია:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაო-ბა:	მ.შ. გოგო:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	2010	477
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	146	13
მეკლდეურთა წრე	28	8
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	120	8
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	242	1
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	659	26

სულ:

3205

533

სტატისტიკა:

ასაკი	ბავშვთა (სპორტსმენთა) რაოდენობა
6-8 წელი	332
9-12 წელი	869
13-17 წელი	1494
18-22 წელი	400
23 წლიდან	110

სპორტულ სკოლებში 2024 წლის აგვისტო-დეკემბრის ჩათვლით ბრძანებით ჩარიცხვების და სექციებიდან გასვლის სტატისტიკა:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაობა:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა (ჩარიცხვა)	266
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა (ჩარიცხვა)	28
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა (ჩარიცხვა)	20
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა (ჩარიცხვა)	32
ა.შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სპორტული სკოლა (ჩარიცხვა)	54
ამოირიცხა სულ:	226

	მწვრთნელ-მასწავლ. (ინსტრუქტ.) რაო-ბა:	მ.შ ქალი
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	83	11
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	8	0
მეკლდეურთა წრე	2	0
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	7	0
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	6	0
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	11	1
ძიუდოს კლუბი „Golden Gori”	1	0
თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club”	2	0

სულ:

120

12

მოგახსენებთ, რომ, 2025 წლის ექვსი თვის გეგმიური მეცადინეობების მუშაობის შემოწმების მიზნით, სააგენტოს სასწავლო პროცესის ზედამხედველობის განყოფილებაში მუშაობს ორი კადრი . დამოწმებული გეგმის თანახმად, გეგმიურად ვამოწმებდით ჩვენს სააგენტოში შემომავალ, ყველა სპორტულ სკოლას (5 სპორტული სკოლა), რომლებსაც მართავენ მენეჯერები. კერძოდ , შ. ჩოჩიშვილის სახ. სპორტული სკოლის მენეჯერი ბ. გიორგაშვილი . სპორტულ სკოლაში სექციების მიხედვით არის 80 მწვრთნელი, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 1900. სკოლას აქვს სექციები ბუფერულ ზონაში, კერძოდ, მერეთი, ფლავისმანი, ხურვალეთი,მელვრეკისი, ნიქოზი. ასევე რაიონებში: სკრა, ქვახვრელი, ატენი, ზერტი, ზედდულეთი. ჩვენს მიერ შემოწმების შედეგად, ყველა მწვრთნელი თავის მოვალეობას ასრულებდა პირნათლად, აგრეთვე აქვთ ყველა სახეობაში

წარმატებები და ჰყავთ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე ასაკობრივი მოსწავლეები შედეგებით. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ სექციაში იყო პრობლემა, კერძოდ, ატენში, სკრაში, ფლავისმანში და მერეთის ძიუდოს სექციას არა აქვს გათბობა. დღემდე არის გეგმით გათვალისწინებული და სასურველია თუ სკოლებში, ზამთრის პერიოდში, აღმოიფხვრება გათბობის პრობლემები.

გ. პაპიტაშვილის სახ. დარბაზი არის დატვირთული მარალი კლასის სპორტსმენებით და საშეჯიბრო მოსწავლეებით, სკოლის მენეჯერი ა. თენაძე, მწვრთნელთა რაოდენობა 11, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 405. შემოწმების შედეგები აფიქსირებს უმაღლეს, ყველა მწვრთნელი თავის მოვალეობას ასრულებდა პირნათლად. აქვე გეგმიური კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებებში ასაკობრივად მაღალი შედეგები. დარბაზში არსებული ყველა პირობა აკმაყოფილებს წვრთნის პროცესს, არის გათბობა, საშხაპე, ძალისათვის არის ჩამოკიდებული ბაგირები და სიმძიმეები. არის პრობლემა ტრენაჟორთან დაკავშირებით, არის ხანდაზმული და ითხოვენ შეძენას ახალი სასწავლო წლისთვის.

ნ. სხირელის სახ. თავისუფალი ჭიდაობის სკოლის მენეჯერი ა. ხინჩიკაშვილი, მწვრთნელთა რაოდენობა 6, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა არის 233. გეგმიური ცხრილის შემოწმების შედეგად, ყველა მწვრთნელი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. შეფასება ზედამხედველობის მიერ შემოიფარგლება მაღალი ქულით. იცავენ ასაკობრივ ზღვარს და აქვე უმაღლესი შედეგები. არის ყველა პირობა მოსწავლეთა და უმაღლესი კატეგორიის სპორტსმენებისთვის. აქვე თანამედროვე გათბობა, აქვე საშხაპე, არის პირობები ვაჟებსა და გოგონებისთვის. აქვე მინდა გამოვხატო ყურადღება დარბაზის აქტიურობასთან დაკავშირებით, რის გამოც საჭიროა ტრენაჟორების შეძენა, ვინაიდან არსებული ტრენაჟორები ხანდაზმულია. მწვრთნელების თხოვნაა შეუძინოთ ტრენაჟორები.

ა. შოშიაშვილის სახ.. კრივის სპეციალიზირებული სპორტული სკოლა, მწვრთნელთა რაოდენობა არის 8, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 199. შემოწმების შედეგად, ყველა მწვრთნელი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, შეფასების მიხედვით იმსახურებენ უმაღლეს ქულებს. მოგახსენებთ, რომ, კრივის დარბაზს 2025 წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, სადაც ყველა პირობა აქვე საშეჯიბრო და უმაღლესი დონის კატეგორიის სპორტსმენებს. ყვეთ სპორტმენი გოგონები და ვაჟები, რომლებიც წარმატებულები არიან ევროპისა და საერთაშორისო ტურნირებში. აქვე თანამედროვე რინგი და ყველა იარაღი, რაც მოკრივეს სჭირდება. კარგი იქნება, რომ სამომავლოდ შეუძინოდ ტრენაჟორები მოკრივეთა შესაბამისად.

გ. კანდელაკის სახ. კრივის სკოლა სოფ. ვარიანში, მენეჯერი თ. აბულაძე, მწვრთნელთა რაოდენობა 6, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 139. ზედამხედველობის შემოწმების შედეგად ვარიანის სკოლაში უმაღლესი შეფასება მიიღეს. ჰყავთ წარმატებული მოსწავლეები, რომლების მონაწილეობას დებულობენ საქართველოს ჩემპიონატზე და საერთაშორისო ტურნირებზე. აქვე წარმატებები. ყველა პირობა არის სპორტსმენტა სავარჯიშოდ, აქვე თანამედროვე რინგი და ტექნიკური იარაღები, რაც მოსწავლეებს სჭირდებათ. მწვრთნელები თხოვნაა ტრენაჟორების შეძენა მოკრივეთათვის.

სამომავლოდ სასურველია შევიძინოთ სასწავლო ჟურნალი ყველა მწვრთნელისთვის, იყოს მკაცრი მოთხოვნა როგორც მენეჯერებისგან ასევე სასწავლო პროცესის ზედამხედველებისგან. ქონდეთ გეგმა - კონსპექტი (წლის, თვის და კვირის) სექციისთვის, რადგან ზოგიერთი დატვირთვა შეასრულოს მწვრთნელმა როგორც მოსწავლეთათვის ასევე თავისთვის... ამ ეტაპზე თითოეულ სკოლაში შემოწმების სდეგები და შეწმენები აქტში გვაქვს მოხსენიებული. შემოწმების შედეგად მწვრთნელების მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. სამომავლოდ სასწავლო პროცესის გეგმიური შემოწმება ყველა სკოლაში არსებულ სპორტულ სექციებში გაგრძელდება. სასურველია გამოგვიყოს ტრანსპორტი ზედამხედველთა სამსახურის შესრულებისთვის, რათა არ ვიყოთ დამოკიდებული

მოსწავლეთათვის განკუთვნილ სამარშრუტო ტრანსპორტზე, რის შედეგადაც უფრო აქტიურად და მოხერხებულად შევძლოთ კონტროლი სპორტული ბაზებისა და მეცადინეობების შემოწმებისათვის.

განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სააგენტოს გ.პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა: საქართველოს მიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სემინარზე.
2. სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლის კალათბურთის სექციის მწვრთნელმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან სამუშაოდ მწვრთნელთა გადამზადების ტრენინგში.
3. სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს სექციის მწვრთნელმა ჩააბარა გამოცდა და აიღო სერთიფიკატი 1 KYU-ში.
4. გ.კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანის კრივის სკოლის მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სემინარზე(საერთაშორისო კატეგორიის მსაჯობისთვის).

მიმდინარე პერიოდში, საზაფხულო არდადეგების გამო შეწყვეტილია სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. ვარჯიშს აგრძელებენ იმ სექციის საშეჯიბრო ჯგუფები, რომლებიც ემზადებიან მიიღონ მონაწილეობა სპორტული კალენდრით დაგეგმილ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს

საქმისწარმოების (კანცელარია) განყოფილების ანგარიში

მოგესხენებათ, რომ სააგენტოს კანცელარიის განყოფილებას ინტენსიურად უწევს დოკუმენტბრუნვა, გარე კორესპოდენციების მომზადება, შემოსული წერილების დახარისხება დასამუშავებლად და რეაგირება სპორტულ ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის დოკუმენტების მზადებისა და დაფინანსებისათვის მზაობის მხრივ. შემდეგ ხდება დოკუმენტბრუნვის პროგრამაში თითოეული დოკუმენტის ატვირთვა თანმიმდევრულად.

მთავარი სპეციალისტი, რომელიც აქტიურად მუშაობს, როგორც საკანცელარიო საქმეებში, ისე სამივლინებო დოკუმენტაციის მომზადებაში. აქვს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება და ვადამდე ფარგლებში ასრულებს მასზე დაკისრებულ საქმეს: სპორტსმენთა მივლინების დოკუმენტაციის მომზადების, ბარათების გამოწერასა და რეგისტრაციით. შემდგომში ხარჯების

ანგარიშების მითვლით შესაბამის დოკუმენტებთან ერთად საქმის ჩამოსაწერად, რაც იტვირთება სრულებით დოკუმენტბრუნვის პროგრამაში.

--უფროსი სპეციალისტი, ასევე ჩართულია კანცელარიის მუშაობაში, დროულად აწესრიგებს წერილების რეგისტრაციასა და ღონისძიებისათვის შემოსულ წერილების გადაგზავნას ხელმძღვანელთან. ყურადღებით ეკიდება თითოეულ დავალებას საქმის შესაბამისად.

გარე ინსტანციიდან შემოსული წერილებს დაუყოვნებლივ ეგზავნება პროგრამულად ხელმძღვანელს რეაგირებისათვის. დამუშავებისა და ანალიზის დადების შემდეგ, რომელიც კანცელარიას ეწერება საპასუხო წერილების მოსამზადებლად, გვაქვს პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი იქნეს ყოველთვის დროის და ვადის ფარგლებში. კანცელარია მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მუშა მდგომარეობაშია, ამასთან განყოფილების უფროსს უწევს ფორსმაჟორშიც მუშაობა, რათა დაკისრებული საქმე, რომელიც სამსახურის მთლიანი გუნდის მუშაობას ეხება, არ ჩამორჩეს და დროულად იქნეს შედეგამდე მიტანილი. კანცელარიის განყოფილება ყოველთვის მზადაა საქმიდან გამომდინარე კომპეტენციის ფარგლებს გარედანაც გასწიოს დახმარება საჭიროების შემთხვევაში. კანცელარიაში წლის ბოლოს ვმუშაობთ დოკუმენტების დაარქივებაზე და მომავალი წლისთვის შემზადებაზე.

სააგენტოს საქმისწარმოების განყოფილებაში მუშაობს სამი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი. კანცელარიის ყოველდღიური მუშაობა მოიცავს შიდა და გარე წერილების რეგისტრაცია-დამუშავებას, მიწოდებას რეაგირებისათვის. დგება სპორტსმენთა და მწვრთნელთა მივლინების ბარათები, იკინძება კვების აქტებთან და სასტუმროს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტებთან და ხელშეკრულებებთან ერთად საჭიროების შემთხვევაში. უკვე მზა ფორმით მიეწოდება გარე ღონისძიებაზე მონაწილეობისათვის პასუხისმგებელ მწვრთნელებს. უკან დაბრუნებისას ჩამოსვლა მოწმდება დირექტორის ბეჭდით და ხელმოწერით. ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას თან ერთვის მწვრთნელთა მოხსენებითი ბარათები ანგარიშის ჩაბარების სახით. ეს ყველაფერი იკინძება და გადადის მულალტერიაში მატერიალური სახით, ხოლო ელექტრონულ ვერსიას რეაგირებას უკეთებს დირექტორი, რის შემდეგ ჩამოსაწერად გადადის ბუღალტერიაში. მოგახსენებთ, რომ 2025 წლიდან დღემდე (ექვსი თვის ანგარიშით) შემოსულია კანცელარიაში:

1. შიდა წერილი --670 ოდენობით;
2. შიდა და გარე წერილებზე გაცემულია ბრძანებები --559 ოდენობით
3. პირადი უზრუნველყოფით (ხელზე გაცემული) --21 წერილი
4. სააგენტოდან გასული წერილი -- 38
5. კანცელარიაში შემოსული გარე განცხადება -- 9
6. დამუშავების პროცესში გვაქვს -- 13 წერილი

ვაწარმოებთ კომუნალური აღრიცხვის ჟურნალს, სადაც გამიჯნულია გაზის და დების ქვითრები, ცალკე წყლის ხარჯვის ქვითრები, რაზეც 12 მოხსენებითია შემოსული რეგისტრაციისთვის შესაბამისი სპეციალისტის მიერ.

საწვავის, ინვენტარის, მედლების, თასების, სიგელების ჩამოწერის აქტები ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირდება -- 30 აქტით.

გაცემა ხდება მოსწავლეთა ცნობების საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტებისადმი, მინდობილობების შესაბამის სტრუქტურებში.

რაც შეეხება მომავალი ექვსი თვის გეგმებს, დაგეგმილი გვაქვს ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სააგენტოსადმი დაქვემდებარებული სკოლების საქმისწარმოების მუშაობის მონიტორინგი, უკეთესად მუშაობის რეკომენდაციები. ახალი სასწავლო წლიდან განყოფილების სპეციალისტების დახმარებით დაგეგმილი გვაქვს შიდა ტრენინგის ჩატარება სკოლების საქმისწარმოებლებთან მათგან შემოსული წერილების მიხედვით რეაგირების დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში ერთად ასაკინმად (ხეში), რაც უმნიშვნელოდ დარღვეულია. ამრიგად, ჩვენი მიზანია უკეთ დაიხვეწოს ელექტრონულ პროგრამაში ერთობლივი მუშაობა.

შრომის უსაფრთხოების განყოფილება მიერ 2024 წლის აგვისტო-დეკემბრის და 2025 წლის 1 იანვრიდან შესრულებული და მომდევნო 6 თვეში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მოკლე ანგარიში

გასული წლის აგვისტო-დეკემბრის თვეების განმავლობაში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) განყოფილების მიერ საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის დადგენილება N341-ით დამტკიცებული „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება N370-ით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისა და სააგენტოში შრომის უსაფრთხოების კუთხით დანერგილი წესების (რეგულაციების) ფარგლებში სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოწმებულ იქნა სააგენტოს დაქვემდებარებაში შემავალი სპორტული სკოლებისა და სექციების შენობებში არსებული ცეცხლმაქრების მდგომარეობა, რის საფუძველზეც მოხდა არსებული ცეცხლმაქრების ნაწილის (18 ცალი) ხელახალი დამუხტვა, ხოლო იმ შენობებში სადაც სამუშაო ფართის კვადრატულობიდან გამომდინარე არ იყო საკმარისი რაოდენობის ცეცხლმაქრები, სააგენტოს მიერ შესყიდულ იქნა 6 ცალი ახალი ცეცხლმაქრი.
- რეგულარული შეხვედრები სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომლებთან და მათთვის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საკონომდებლო სიახლეების გაცნობა;

- სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში არჩეულ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლებთან სისტემური კომუნიკაცია და შენობებში მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირების მიზნით ერთობლივი შემოწმებები;
- სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული შენობების (ადმინისტრაციული და საწვრთნელი (დარბაზები) სკოლები) დათვალიერება მათი კონსტრუქციული მედეგობის, არსებული კომუნიკაციების (ელექტრო გაყვანილობა, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია) საინჟინრო-ტექნიკური გაყვანილობის და ექსპლოატაციის წესების შესაბამისობის დადგენა არსებულ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებთან დადგენის მიზნით;
- საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში მათი დეტალური აღწერა, დასურათება და შესაძლო რისკების განსაზღვრა. საფრთხის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- სამუშაო სივრცეში საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში შენობების საევაკუაციო გეგმების მიხედვით საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობის შემოწმება;
- სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტული სკოლაში შემავალი ჩოგბურთის სექციის შენობაში (კორტები) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით და სამუშაოებზე კონტრაქტით დასქმებული ხელოსნების ინსტრუქტაჟირება.

ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შრომის უსაფრთხოების კუთხით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული და სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ბრძნებებით დამტკიცებულია შემდეგი შიდა მარეგულირებელი წესები (დოკუმენტები):

- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა;
- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების წესი;
- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში რისკის შეფასების წესი;
- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ავტო სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციისა და მართვის უსაფრთხოების წესი;
- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების წესი

რომელთა დებულები შესასრულებლად დანერგილია სააგენტოში. აღნიშნული წესებისა და საქართველოში შრომის უსაფრთხოების განხრით მოქმედი კანონმდებლობის (კანონები, რეგლამენტები, ინსტრუქციები და სხვა) საფუძველზე სააგენტოს შრომის უსაფრთხოების განყოფილების მიერ ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ხორციელდება:

- სააგენტოს დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების შენობებში (როგორც ქალაქ გორში, ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სამუშაო ადმინისტრაციულ ფართებსა და საწვრთნელ დარბაზებში) ადგილებზე არჩეულ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარეობს მონიტორინგი (შენობების დათვალიერება) მათი კონსტრუქციული მედეგობის, არსებული კომუნიკაციების (ელექტრო გაყვანილობა, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია) საინჟინრო-ტექნიკური გაყვანილობის და ექსპლოატაციის წესების შესაბამისობის დადგენა არსებულ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებთან დადგენის მიზნით, რა დროსაც საფრთხეების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მათი იდენტიფიცირება (დეტალურ აღწერა და დასურათება), რასაც მოსდევს საფრთხიდან გამომდინარე რისკების შეფასება და შესაძლო უბედური შემთხვევების თავიდან არიდების (შემცირების, აღმოფხვრის) მიზნით შესაბამისი ქმედითი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და შემდგომში გატარება;
- პერიოდულად ხორციელდება შემოწმება სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული შენობების შიდა სამუშაო (საწვრთნელ) სივრცეებში შესაძლო საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნის შემთხვევაში, შენობებიდან თანამშრომელთა და მესამე პირთა უსაფრთხოდ გასაყვანად საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, ასევე სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, სახანძრო სისტემების და ცეცხლმაქრების დამუხტვის მდგომარეობის შესახებ;
- ეტაპობრივად ხდება სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული თანამშრომლებთან შეხვედრები, სადაც მიეწოდებათ ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო სისახლეების შესახებ და სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების საკითხებზე თემატურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები;
- სააგენტოს შრომის უსაფრთხოების განყოფილების უშუალო ჩართულობითა და შედგენილი მოტივირებული დასკვნის (უსაფრთხოების კუთხით აღმოჩენილი დარღვევების) საფუძველზე მოხდა სააგენტოს დაქვემდებარებაში შემავალ ერთერთ ობიექტზე (ჩოგბურთის კორტები) განხორციელებული და დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოებში წუნდება და ობიექტის საქსპლოატაციოდ არ ჩაბარება (ამჟამად ჩოგბურთის კორტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ მიმდინარეობს ჩვენ მიერ აღმოჩენილი ხარვეზების (დარღვევების) აღმოსაფხვრელად შესაბამისი სამუშაოები).

2025 კალენდარული წლის დარჩენილ 6 თვეში სააგენტოს შრომის უსაფრთხოების განყოფილება ჩვეულ სამუშაო რეჟიმში გააგრძელებს სააგენტოსთვის გადმოცემულ (სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარებაში არსებულ) შენობებში (სპორტული სკოლები და საწვრთნელი დარბაზები) მონიტორინგს სააფრთხეების გამოვლენის მიზნით და აღმოჩენის შემთხვევაში მოახდენს მყისიერ რეაგირება რისკის შესაფასებლად და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. სააგენტოში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს (სტრუქტურული ერთეულების მიხედვით) ჩაუტარდებათ რიგითი სწავლება (ინსტრუქტაჟი) - სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ. დაგეგმილია სააგენტოსთვის გადმოცემულ შენობებში დამოუკიდებელ ელექტრო კვებაზე მომუშავე მანათობელი საევაკუაციო გასასვლელების მიმამართულების აღმნიშვნელი ნიშნების განთავსება, ასევე გარკვეულ ადგილებზე დამატებითი სახანძრო უსაფრთხოების სტენდების დამონტაჟება.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

01.08.2024-დან დეკემბრამდე

/ 01.01.2025 – 01.07.2025 წ.წ. /

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ საწესდებო საქმიანობას წარმართავს მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
- „სააგენტო“ - ს სტრუქტურული ერთეულებია:
 - 1.1 სააგენტოს ადმინისტრაცია, რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:
 - ა) სპორტული ღონისძიებების განყოფილება;
 - ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
 - გ) საქმის წარმოების განყოფილება (კანცელარია);
 - დ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება – (HR);
 - ე) იურიდიული განყოფილება;
 - ვ) შესყიდვების განყოფილება;
 - ზ) საფინანსო განყოფილება (ბუღალტერია);
 - თ) სასწავლო პროცესის ზედამხედველობის განყოფილება;
 - ი) შრომის უსაფრთხოების განყოფილება;
 - კ) სააგენტოს სასტუმრო (გორი სტალინის გამზ. N11).
 - 1.2 სააგენტოს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა.
 - 1.3 სააგენტოს ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა.
 - 1.4 სააგენტოს ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა.
 - 1.5 სააგენტოს გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა.
 - 1.6 სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, რომლის დაქვემდებარებაში შედის გორის მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი სექციები:
 - ა) სოფელი ქვახვრელი – ძიუდოს სექცია;
 - ბ) სოფელი სკრა – ძიუდოს სექცია;
 - გ) სოფელი ფლავისმანი – ძიუდოს სექცია;
 - დ) სოფელი ზერტი – ძიუდოსა და ძალოსნობის სექცია;
 - ე) სოფელი მერეთი – ძიუდოს სექცია;
 - ვ) სოფელი ატენი – ძიუდოს სექცია;
 - ზ) სოფელი ზედდულეთი – ძიუდოს სექცია;
 - თ) სოფელი მეჯვრისხევი – თავისუფალი ჭიდაობის სექცია;
 - ი) სოფელი ხურვალეთი – კრივისა და თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რაგბი;
 - კ) ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი.
 - ლ) გორი, მშვიდობის გამზ.N12 – კიკბოქსინგის, მკლავჭიდისა და კრივის სექცია;
 - მ) გორი, სტალინის გამზ.N54 – ჭადრაკის სექცია.
 - 1.7 სააგენტოს ძიუდოს კლუბი „Golden Gori“.
 - 1.8 სააგენტოს თ/ჭიდაობის კლუბი „Skhireli Club“.
- 2. 2024 წლისათვის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში 18 საშტატო ერთეული და 254 შტატგარეშე თანამშრომელი იყო.
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ში

დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა სულ, 2025 წელს (დღეის მდგომარეობით) შეადგენს - 275. აქედან 18 - შტატი, 257 - შტატგარეშე დასაქმებული თანამშრომელი.

- დღეის მდგომარეობით, დასაქმებულთა შორის 8 - ომის მონაწილეა; 6 - მაღალმთიან ზონაში მაცხოვრებელი დასაქმებული; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი - 17 თანამშრომელი; სპორტის დამსახურებულ მოღვაწე - 09 თანამშრომელი;

- 2021-2022 წლებში „სააგენტო“-ს 7 თანამშრომელს გაუკეთდა წარდგინება მერიაში დამსახურებული

მუშაკის და მწვრთნელის წოდების მინიჭების თაობაზე;

- დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა განესაზღვრა - 1 თანამშრომელს.

- 2025 წლის იანვრიდან დღემდე „სააგენტო“ში დასაქმდა 13 თანამშრომელი;

გათავისუფლდა - 14 თანამშრომელი .(აქედან - 12 - პ/განცხადებით; 1 - საზღვრგარეთ წასვლის გამო;

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება მიმდინარე წლის 01 იანვრიდან გაიზარდა 10 % -ით; 2025 წლის 01 თებერვლიდან 125 ლარის ოდენობით.

- „სააგენტო“-ს სამმა მწვრთნელმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი და მიიღეს შესაბამისი

სერტიფიკატები;

- „სააგენტო“-ს HR -ის მხრიდან სისტემატურად მიმდინარეობს „სააგენტო“-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი;

- შრომით ურთიერთობების მონაწილე მხარეების ინტერესებში გარკვევა, შესაძლო კონფლიქტების შეფასება, დასაქმებულთა ურთიერთობების არაფორმალური მხარეების შესწავლა;

- „სააგენტო“-ს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება, შრომის წიგნაკების წარმოება და შენახვა დადგენილი წესის შესაბამისად;

- შემოსული კორესპონდენციის განხილვა სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;

- „სააგენტო“-ს პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიწოდება დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

- საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება;

- საკადრო საკითხებზე (სამუშაოზე მიღება, გათავისუფლება, გადაყვანა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ.) ბრძანებათა პროექტების მომზადება და შესაბამისად სააგენტოს ხელმძღვანელის წინაშე წარდგენა;

- პერსონალის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და შესაბამისად „სააგენტო“-ს ხელმძღვანელისადმი წარდგენა;

- „სააგენტო“-ს ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

- ახორციელებს პერსონალის საინფორმაციო ბაზის გამოყენებით დასაქმებული პერსონალის პირადი მონაცემების განახლება-სრულყოფას;

**ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის
სააგენტო
სპორტული ღონისძიებების განყოფილება**

2024 წელს ჩატარებული შიდა სპორტული შეჯიბრებები (აგვისტო-დეკემბერი)

1. 3 – 9 სექტემბერს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის XIV საერთაშორისო ტურნირი კრივში უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის.
2. 7 ოქტომბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მიხეილ მურაჩაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში.
3. 12–13 ოქტომბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მურად ჯავახიშვილის მემორიალური ტურნირი ხელბურთში.
4. 15 – 17 ნოემბერს ქ. გორში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ხინჩეგაშვილის მემორიალური ტურნირი.
5. 4 დეკემბერს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და
ხელშეწყობის სააგენტოს მიერ განხორციელებული შიდა სპორტული
შეჯიბრებები და აქტივობები
2025 წლის მდგომარეობით (იანვარი-ივნისი)

1. მ/წლის 25 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის იოსებ დურგლიშვილის მემორიალური ტურნირი მკლავჭიდში.
2. მ/წლის 1 თებერვალს ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულ სპორტულ სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.
3. მ/წლის 7 – 9 თებერვალს გორის სპორტის სასახლეში სკოლაში ჩატარდა ცოტნე ბარამიძის II მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.
4. მ/წლის 26 თებერვალს ქ. გორში შ. ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სევერიან (სერგო) ქარელის მემორიალური ტურნირი ძიუდოში უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის.
5. სპორტის სააგენტოს მხრდაჭერით მ/წლის 1 – 2 მარტს ქ. გორში ახალ სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კარატეში.
6. მ/წლის 5 მარტს ქ. გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოში უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის.
7. მ/წლის 11-15 მარტს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის XXII საერთაშორისო მემორიალური ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის.
8. სპორტის სააგენტოს მხრდაჭერით და თანადაფინანსებით მ/წლის 23 – 27 აპრილს ქ. გორში ახალ სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებსა და 15 წლამდელთა შორის.
9. მ/წლის 10 – 11 მაისს ქ. გორის ახალ სპორტის სასახლეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი - ევროპის თასი ძიუდოში.
10. რომ მ/წლის 1 ივნისს გორში ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრი მკლავჭიდში.

**ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და
ხელშეწყობის სააგენტოს მიერ 2025 წელს დაგეგმილი შიდა
სპორტული შეჯიბრებები და აქტივობები**

1. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.
2. ღია პირველობა ძალოსნობაში – „რეკორდების დღე“.
3. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის XV საერთაშორისო ტურნირი კრივში უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის.
4. მიხეილ მურაჩაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში.
5. მურად ჯავახიშვილის მემორიალური ტურნირი ხელბურთში .
6. ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ხინჩეგაშვილის მემორიალური ტურნირი .
7. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის ტურნირი კრივში .
8. ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში.
9. დურმიშხან ბერუაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში.
10. გურამ პაპიტაშვილის მემორიალური ტურნირი ძიუდოში.

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა(თავისუფალი ჭიდაობა)

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს ჩემპიონატი დიდებში	11- 14 იანვარი	ბათუმი	14სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	III - ადგილი ნიკა ზანგალაძე
2	თავისუფალი ჭიდაობა	ქარელის მერიის თასი	8 – 9 მარტი	ქარელი	25 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	I - ადგილი ტატო ცხომიშვილი III - ადგილი დემეტრე ინაური ლუკა ყაჭეიშვილი ლექსო დოლაბერიძე ზუკა დოთიაშვილი ნიკოლოზ
3	თავისუფალი ჭიდაობა	შალვა ზაგაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	28 - 29 მარტი	თბილისი	2 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	II - ადგილი ნიკოლოზ გაგლოშვილი დავით რაზმაძე III - ადგილი გაბრიელ მაისურაძე გიორგი სომხიშვილი
4	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს ჩემპიონატი 17 წლამდელთა შორის (ქვიშის ჭიდაობაში)	6 - 7 აპრილი	ბათუმი	5 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	I - ადგილი რატი ბერიძე

5	თავისუფალი ჭიდაობა	გურამ საღარაძის სახელობის ტურნირი	24 - 26 მაისი	ამბროლაური	15 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	I - ადგილი ტატო ცხაოშვილი II - ადგილი ზუკა სეფიშვილი III - ალექო ტლაშაძე ნიკა ჭილაძე მათე მჭედლიშვილი გაბრიელ მაისურაძე
6	თავისუფალი ჭიდაობა	ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის ღია ტურნირი	20 - 22 ივნისი	სტეფანწმინდ ა	18 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ოთარ ტლაშაძე	I - ადგილი - 1 II - ადგილი - 3 III - ადგილი - 3

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა(ბიუდო)

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	ბიუდო	საქართველოს სალიცენზიო ჩემპიონატი	9-10-11-12 იანვარი	თბილისი	14 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	4 - ლიცენზია ნიკა ყაყიტაშვილი თამაზ ჯანუაშვილი ლუკა ცილიკაშვილი გიორგი გოგინაშვილი
2	ბიუდო	საქართველოს ჩემპიონატი 2008 – 2009 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის	16 – 17 იანვარი	თბილისი	6 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	1 – ადგილი მარიამ მეგრელიშვილი
3	ბიუდო	საქართველოს ჩემპიონატი 2008 – 2009 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	18 – 19 იანვარი	თბილისი	4 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	წაგება
4	ბიუდო	სალიცენზიო ტურნირი უმცროსი ასაკის ჯაბუკებში	24 – 26 იანვარი	თბილისი	16 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	3 - ლიცენზია ჩოჩიშვილი პურიჭამიაშვილი

					სეკონსუელი		ჯანუარი
5	სამბო	სალიცენზიო ტურნირი უმცროსი ასაკის ჯგუფებში	30 იანვარი 1 თებერვალი	თბილისი	14 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	III - ადგილი თინათინ ბეგლარიშვილი
6	ბიუდო	სალიცენზიო შეჯიბრება 2013 – 2014წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	7 - 9 თებერვალი	თბილისი	9 სპორტსმენი 3 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	3 - ლიცენზია გიორგი მირუაშვილი ოთარ ქალიაშვილი რამაზ დათუნაშვილი
7	ბიუდო	2009 – 2010 წწ. დაბადებულთა სარეიტინგო ჩემპიონატი 1	15 – 16 თებერვალი	თბილისი	10 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	წაგება
8	ბიუდო	სარეიტინგო ტურნირი 2009 – 2010 წწ. დაბადებულ კადეტებში	14 – 15 თებერვალი	თბილისი	1 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	წაგება

9	ბიუდო	პირველი სარეიტინგო ტურნირი გოგონებში	13 – 14 თებერვალი	თბილისი	3 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	წაგება
10	ბიუდო	2011 – 2012 წწ. დაბადებულთა საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი 1	21 – 23 თებერვალი	თბილისი	3 სპორტსმენი 1 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	წაგება
11	ბიუდო	საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი 1	1– 2 მარტი	თბილისი	3 სპორტსმენი 3 მწვრთნელი	ქართლის პავლიაშვილი	წაგება
12	ბიუდო	სალიცენზიო შეჯიბრება 2 2009 – 2010წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	15 – 16 მარტი	ახმეტა	11 სპორტსმენი 3 მწვრთნელი	ნიკოლოზ მშვიდლობაძე	წაგება

